პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 105 (1119) | კვირა, 1 სექტემბერი, 1957 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 30 კაპ.

სურათზე: მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გამარჯვებით დაბრუნებულნი

29 აგვისტოს საღამოს, თბილისის სადგურზე ჩამოდგა სპეციალური მატარებელი რიგა-თბილისი. გრიალებს ორკესტრი... დედაქალაქის სპორტის მოყვარულები ყვავილებით ხელში შეხვდნენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებს. „ყოჩაღ ბიჭებო“, „გვასახელეთ“, „კვლავაც გამარჯვების გზებით გევლოთ“. — გაისმოდა სადგურის ბაქანზე შეძახილები. ვაგონებიდან მომღიმარი სახით ჩამოდიოდნენ წყალბურთელები, კალათბურთელები, ტანმოვარჯიშეები...

— აი ჩვენი სპორტის მომავალი, ბრწყინვალე მომავალი! — სამართლიანად შენიშნა ერთ-ერთმა დამხვდურმა.

მართლაც, ჩვენმა მომავალმა იმედები გაამართლა. რიგაში, სადაც 4.000-მდე მოსწავლე საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელს ეცილებოდა ერთმანეთს, საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ ბრწყინვალედ ჩაატარა შეჯიბრებები და მეხუთე ადგილიდან (რომელიც გასულ წელს ეკავა) მესამე საპრიზო ადგილზე გადაინაცვლა. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდნენ ჩვენი კალათბურთელები (გოგონები), ფრენბურთელები (ვაჟები), წყალბურთელები, ტანმოვარჯიშეები, მოცურავეები, მძლეოსნები. ლატვიისა და მოსკოვის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა წარმატებას. „კომსომოლსკაია პრავდა“ სწერდა: „საქართველოში არა ერთი და ორი მაღალი კლასის წყალბურთელი აღიზარდა. ყველა ვიცნობთ მშვენიერაძეს, გვახარიას და სხვებს. როგორც ჩანს, ამ მიმართებით კვლავ დიდი მუშაობა მიმდინარეობს რესპუბლიკაში. ეს იქიდან ჩანს, რომ საქართველომ სპარტაკიადაზე ჩამოიყვანა წყალბურთელთა მებრძოლი კოლექტივი. იგი, როგორც იტყვიან, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვის, ყოველი მათგანი დაჯილდოებულია სპორტული მამაცობით და კარგი საცურაო მომზადებით“.

ლატვიის სპორტული გაზეთი „სპორტასი“ აღნიშნავდა, რომ „კალათბურთელთა ტურნირის მონაწილე გუნდებს შორის აღსანიშნავია თბილისელ გოგონათა შესანიშნავი თამაში. ჯაფარიძე და ქველიძე იმდენად მაღალტექნიკური მოთამაშეები არიან, რომ თავისუფლად შეიძლება მათი საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეყვანა“. ასეთ აზრს გამოთქვამენ გაზეთები ფრენბურთელებზე, ტანმოვარჯიშეებზე, ნიჩბოსნებზე, ფეხბურთელებზე...

მაშ ასე, გამარჯვებულები დაგვიბრუნდნენ. რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანა წარმატებით გადაჭრეს და ახლა მათ წინაშე კიდევ უფრო სერიოზული ამოცანა დგას. პირველი და მთავარი ეს არის სწავლა. ორ სექტემბრიდან ისინი დაუბრუნდებიან მშობლიურ სკოლებს და ჩაებმებიან მეცნიერების მწვერვალების დაპყრობისათვის ბრძოლის ფერხულში. სამშობლო მოითხოვს, რომ სპორტსმენი არა მარტო სარბიელზე იყოს პირველი, არამედ სწავლაშიც. ამიტომ საჭიროა სწავლისა და სპორტის უნარიანი შეხამება.

როგორც ცნობილია, 12 ოქტომბერს ბაქოში დაიწყება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადა. ამ მრავალმხრივ საინტერესო შეჯიბრებისათვის რესპუბლიკა გაცხოველებით ემზადება. ამ საქმეში აუცილებლად დაგვჭირდება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეთა დახმარება. ბევრი მათგანი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში ჩაირიცხება და უფროს ამხანაგებთან ერთად განაგრძობს წვრთნას. ისინი სპარტაკიადისათვის მზადებაში ახლავე უნდა ჩაებნენ და შეუსისხლხორცდნენ იმ კოლექტივს, რომლებშიც ისინი გაერთიანდებიან.

საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა მიერ საკავშირო სპარტაკიადაზე მოპოვებული წარმატება ჩვენ ყველას გვავალებს კიდევ უფრო გავაცხოველოთ მუშაობა ბავშვებთან. საუკეთესო ბაზები, მაღალკვალიფიციური მწვრთნელები და მაღალხარისხოვანი ინვენტარი არ უნდა დავიშუროთ მათთვის. სპარტაკიადის შედეგებიდან უნდა გავაკეთოთ სათანადო დასკვნები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ მძლეოსნობაზე (მე-9-11 ადგილი). ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოპოვებული წარმატებები შევინარჩუნოთ, განვამტკიცოთ და განუხრელად ვზარდოთ. ამ მიზნით მიმდინარე წელს ფიზკულტურის ტექნიკუმის ბაზაზე გაიხსნება საშუალო სკოლა სპორტის განხრით 600 ბავშვისათვის. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან აქ თავს მოიყრიან განსაკუთრებული სიზუსტით შერჩეული კარგი სპორტული მონაცემების მქონე ბავშვები—ისეთები, რომლებიც ნამდვილად შექმნიან რეზერვს, ისეთები, რომლებისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის და, საერთოდ, საბჭოთა სპორტის ინტერესები.

რესპუბლიკის სპორტის მოყვარული საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმება საქართველოს ჭაბუკებისა და გოგონებისაგან შემდგარ სპორტულ დელეგაციას. უსურვებს მას მრავალ ახალ წარმატებებს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

ოლიმპიური „გმირის“ დამარცხება

◆

საბჭოთა კავშირის 1957 წლის პირველობა მძლეოსნობაში

◆

28 აგვისტოს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე აღიმართა სსრ კავშირის პირველობის დროშა მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 1.200-ზე მეტი სპორტსმენი.

პირველად სტარტი მიეცა სპორტულ სიარულს 20 კილომეტრზე. ფინიშთან პირველი იყო ლენინგრადელი სტუდენტი ა. ეგოროვი. საბჭოთა კავშირის 1957 წლის პირველმა ჩემპიონმა მძლეოსნობაში მოუგო მელბურნის ოლიმპიადის პრიზიორებს სპირინსა და მიკენასს და აჩვენა 1 საათი, 30 წუთი და 56,2 წამი.

ძველმა ჩემპიონებმა პროგრამის მრავალ სახეობაში ადგილები დაუთმეს ახალგაზრდა სპორტსმენებს. ასე მაგალითად, სსრ კავშირის რეკორდსმენმა ბირთვის კვრაში ვაჟთა შორის ოვსეპიანმა ვერ შეძლო კონკურენცია გაეწია ახალგაზრდა მძლეოსან ვ. ლოშჩილოვისათვის (ჩელიაბინსკი) და დაუთმო მას ჩემპიონობა.

უდიდეს ინტერესს იწვევდა ვაჟთა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში. როცა თამასამ მიაღწია 2 მეტრ 06 სანტიმეტრს სიმაღლეს, მეტოქეთაგან დარჩნენ მხოლოდ ორნი — კიეველი ვ. სიტკინი და მსოფლიო რეკორდსმენი ლენინგრადელი ი. სტეპანოვი. სიტკინმა სიმაღლე დაძლია პირველივე ცდაზე, ხოლო მსოფლიო რეკორდსმენმა მხოლოდ მეორე გამორბენისას შეძლო მისი აღება. მსაჯებმა თამასა აწიეს კიდევ 3 სანტიმეტრით მაღლა ამ სიმაღლეს სიტკინმა ცდათა ნაკლები რაოდენობა მოანდომა და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

ყუბანის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ნ. კაზმინა სულ ახლახან დაწინაურდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა შორის. მიმდინარე ჩემპიონატში მან სიგრძეზე ხტომაში სამჯერ გადააჭარბა 6 მეტრს. მისი საუკეთესო შედეგი ფინალში იყო 6 მ 22 სმ.

ვაჟთა რბენაში 100 მეტრზე უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა ფინალი. ჩემპიონობა წილად ხვდა ბაქოელ სპრინტერს ი. კონოვალოვს. რომელმაც ფინიშის ხაზზე მკერდით მოუგო ლ. ბარტენევს (უკრაინა). ორივე სპორტსმენის დრო 10,5 წამი. ქალთა შორის ამავე დისტანციაზე საუკეთესო იყო უკრაინელი სპორტსმენი ვ. კრეპკინა, რომელმაც შესანიშნავი შედეგით — 11,5 დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზეა გ. პოპოვა (ლენინგრადი) — 11,6.

სენსაციით აღინიშნა რბენა 10.000 მეტრზე. არავის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მელბურნის ოლიმპიადის „გმირი“, მსოფლიოს რეკორდსმენი ამ დისტანციაზე მოსკოველი ვ. კუცი მოიგებდა რბენას. თითქმის მთელ დისტანციაზე კუცი მართლაც ლიდერობდა რბენას. მას ფეხდაფეხ მისდევდა პ. ბოლოტნიკოვი. სულ მცირე მანძილი იყო დარჩენილი ფინიშამდე, როცა ბოლოტნიკოვი მძლავრი ბიძგით გაიჭრა წინ, აუქცია გვერდი კუცს და პირველმა გაწყვიტა ფინიშის ზონარი. გამარჯვებულის შედეგი — 29.02,8 საუკეთესოა მიმდინარე წელს მსოფლიოში. კუცმა წააგო 0,2 წამი.

ბირთვის კვრაში ქალთა შორის პირველი ადგილისათვის ბრძოლა, როგორც ყოველთვის, გაიმართა ლენინგრადელ მეგობრებს, ოლიმპიურ ჩემპიონ თ. ტიშკევიჩსა და მსოფლიო რეკორდსმენ გ. ზიბინას შორის. ტიშკევიჩმა ბირთვი გაგზავნა 16 მეტრსა და 23 სანტიმეტრზე და დაიკავა პირველი ადგილი.

დიდი წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა ლიტველ სპორტსმენს ალგირდას ბალტუშნიკასს, რომელმაც ბადრო ტყორცნა 54 მეტრსა და 83 სანტიმეტრზე. ბალტუშნიკასმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა და გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი.

ქალთა რბენა 400 მეტრზე დამთავრდა ლენინგრადელი სპორტსმენის ე. პარლიუკის გამარჯვებით — 55,3.

• • •

სურათზე: პ. ბოლოტნიკოვი ფინიშთან.

ფოტო პ. ნაუმენკოსი.

საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდი — ევროპის ჩემპიონია

ევროპის გუნდური პირველობის უკანასკნელი VI ტურის წინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მატჩში ავერბახმა კარგად გამოიყენა თავისი უპირატესობა და მოუგო უიტელკის. ტაიმანოვი, რომელსაც მძიმე პოზიცია ჰქონდა ფიხტლთან, თავს კარგად იცავდა და მიაღწია ყაიმს. პეტროსიანის პარტია ჩეხოსლოვაკიის ყოფილ ჩემპიონ შეფცთან კვლავ გადაიდო, ამჯერად პეტროსიანის დიდი უპირატესობით. ამ პარტიის მეორედ დამთავრებისას შეფცი მცირე წინააღმდეგობის შემდეგ დანებდა. ამგვარად, მატჩი დამთავრდა ანგარიშით 6,5:3,5 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

მეორე ადგილისათვის ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა იუგოსლავია-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების მატჩმა, რომელიც იუგოსლავთა გამარჯვებით დამთავრდა (7:3). ამგვარად, იუგოსლავიის გუნდმა გაუსწრო როგორც ჩეხოსლოვაკიას, ისე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

უკანასკნელ მატჩში იუგოსლავებთან დამარცხების (4:6) მიუხედავად, საბჭოთა კავშირის გუნდმა 41 ქულის მოგროვებით პირველი ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალგაზრდა გროსმაისტერი კორჩნოი, რომელმაც შეჯიბრებაზე ექვსი პარტია ითამაშა და 5,5 ქულა მოაგროვა. ეს ევროპის გუნდურ პირველობაზე აბსოლუტურად საუკეთესო შედეგია. საბჭოთა გუნდში დიდი წარმატებით გამოდიოდნენ აგრეთვე გროსმაისტერები სპასკი, პეტროსიანი, ბრონშტეინი და ტაიმანოვი. მათ საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს თავიანთ დაფებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვერვალთა რაინდი

☆

უშბის მისადგომებზე იპოვეს 1945 წლის ოქტომბერში დაღუპული ალპინისტები სპორტის დამსახურებული ოსტატი ალიოშა ჯაფარიძე და ქელეშში ონიანი

☆



ა. ჯაფარიძის დაკრძალვა მოხდება დღეს, კიროვის სახელობის პარკში. გამოსვენება 5 საათზე.

თეთნულდის ყინულის ჯავშანზე სამნი მიიკვლევდნენ გზას.

„მაცდურია თეთნულდი, — ამგვარი ლეგენდით იყო შემკული სვანების მიერ კავკასიონის ეს კეკლუცი დედოფალი, — ჯერ არა კაცს შეუდგამს მასზე ფეხი! ზეციური ძალა ბინადრობს მის მწვერვალზე და არავის აძლევს მის სამფლობელოში შესვლის უფლებას“...

და აი, სამმა ქართველმა ალპინისტმა გადაწყვიტა მწვერვალის დაპყრობა და მასზე მოთარეშე ქარიშხლებს გატანება სვანეთში გაბატონებული ამ მითისა.

მცირეოდენი მანძილი აშორებდათ მთამსვლელებს კლდემდე, რომლის იქით ყოველგვარი საფრთხე უკან დარჩებოდა და მწვარვალიც ქედს მოიხრიდა მამაცთა წინაშე.

წინ, ყინულოვან კედელზე, სიმონ ჯაფარიძე მიიკვლევდა გზას, საფეხურებს სჭრიდა. უცბად, შედრკა პიმენ დვალი, რომელიც დაწინაურებულს უკან ედგა — დაცურება იწყო.

— სიმონ! სიმონ! — ამ სანახაობით შეშფოთებულმა დაუყვირა ჯაფარიძეს პიმენისაგან მოშორებით მყოფმა გიორგი ნიკოლაძემ.

სიმონმა მოიხედა, სასწრაფოდ დაურტყო წინ წერაყინი პიმენს, რათა თავი შეემაგრებინა. უშედეგოდ! მაშინ სიმონმა ბეჭებში სტაცა ხელი დაცურებულს, შეკავება სცადა, მაგრამ... თვითონაც დაიწყო დაცურება... ჯერ ნელა, სულ ნელა. შემდეგ, ორივე სხეული ელვის სისწრაფით მოსწყდა ყინულს და პირდაღებული უფსკრულისაკენ გაექანა... ხმაური მიწყდა და თეთნულდის გულმკერდს კვლავ სამარისებური მყუდროება გადაეფარა.

„მაცდურია, თეთნულდი...“ — უთქვამთ სვანებს.

იმავე 1929 წლის აგვისტოს მიწურულს სიმონის ძმა — ალექსანდრე ლენინგრადიდან თბილისში ბრუნდებოდა.

აი ალიოშა ბაქოს ვაგზლის ბაქანზე გადმოდის მშვიდად, გაზეთის კიოსკს უახლოვდება და „ზარია ვოსტოკას“ თხოულობს. ათვალიერებს ფურცლებს და... „ნაპოვნია სიმონ ჯაფარიძის გვამი!“ — იუწყება გაზეთი. ათრთოლებული ხელები კეცავენ ფურცლებს, ბობოქარ სულში რაღაც შურისძიების მაგვარი გრძნობა იწყებს ჩასახვას...

იგივე გრძნობა კაფავს დამწუხრებულ და მასთან, შეუპოვარ თვალებში, როცა ალიოშა მოჭირისუფლე დედ-მამასთან და დასთან ერთად, სიმონის ცხედარს უზის თავთ. იგივე, ახლა უკვე მტანჯველად, სასტიკი ძალით ადევნებული გრძნობაა მოსიყვარულე და-ძმის ალექსანდრა და ალექსანდრე ჯაფარიძეების არსებაში, როცა ისინი ხშირად, ძლიერ ხშირად ესტუმრებიან ხოლმე დაღუპული ძმის საფლავს, საიდანაც შორს, ცის კიდურზე მოჩანს ატყორცნილი მყინვარწვერი...

არა, ალიოშა ჯაფარიძე არ ეკუთვნოდა იმ სუსტნებისყოფიანთა რიცხვს, რომლებიც მსგავსი უბედური შემთხვევის შემდეგ წყევლა-კრულვასღა შეუთვლიდნენ გოროზ მწვერვალს და მისკენ გახედვაც შეზარავდათ. ალექსანდრე ვაჟკაცი იყო და მისი რეაქციაც მომხდარ ამბავზე ვაჟკაცურობის დაღს ატარებდა.

„ადვილი გასაგებია, თუ რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო ჩემი გრძნობა თეთნულდის მიმართ, რომელმაც იმსხვერპლა სიმონი, — იგონებდა შემდგომ ალექსანდრე — და მე თავიდანვე დამებადა ურყევი სურვილი თეთნულდზე ასვლისა. თეთნულდზე ფიქრობდა და ოცნებობდა ჩემი და ალექსანდრაც. გვწყუროდა შურისძიება...“

ასე დაიწყო ალექსანდრე ჯაფარიძის ალპინისტური „კარიერა“. თეთნულდზე მოიერიშეთაგან დაწინაურებულმა, მან პირველად მარტოდმარტომ დაიპყრო მისი უმაღლესი წერტილი და გოროზი გამოწვევა სტყორცნა მასზე გაბატონებულ „ზეციურ ძალას“, ხოლო, შემდგომ, ერთი დღის შემდეგ, თავის დასთან ერთად აღმართა მასზე დაუვიწყარი ძმის—სიმონ ჯაფარიძის უმაღლესი მემორიალური დაფა.

• • •

ბევრი მწვერვალი დაეცა მას შემდეგ, თხუთმეტი წლის მანძილზე, ალიოშა ჯაფარიძის ფეხთა ქვეშ.

თეთნულდიდან ჩამოსვლისთანავე, 1930 წელს ა. ჯაფარიძე აწყობს სვანეთში შემორჩენილი ცრუმორწმუნეობის მეორე კერპის — გოროზი უშბას დაზვერვას, 1931 წელს იგი ყაზბეგის მწვერვალს ლაშქრავს; 1933 წელს ხელმძღვანელობს სამთო ექსპედიციას ზემო სვანეთში; 1934 წელს იგი, თავის თანამოლაშქრეებთან ერთად, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ისტორიაში მანამდე უმაგალითო შტურმს წარმართავს მიუვალ უშბაზე და ადამიანური ძალების უდიდესი დაძაბვით იპყრობს მას, 1935 წელს ალიოშა შტავლერის მწვერვალს შეება და მედგარ ბრძოლაში იმარჯვებს კიდეც; 1936 წელს იგი პამირის დამლაშქრელთა რიგებშია, ხოლო 1937 წელს მთელი თავისი უშრეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით მონაწილეობს მასობრივ ალპინისტურ მოძრაობაში—ყაზბეგის რაიონულ ალპინიადაში, რომლის 10 ლაშქრობიდან იგი 8-ს ხელმძღვანელობდა. 1938 წელს ა. ჯაფარიძე ტეპლითაუს წვერზეა, ხოლო 1939 წელს—უფლისციხისა და ხვამლის გამოქვაბულებში.

და აი, 1940 წელიც! — ქართულ ალპინიზმსა და მის ისტორიასთან განუყრელად დაკავშირებული ალიოშა ჯაფარიძე ხელმძღვანელობს მამაც ქართველ ალპინისტთა ჯგუფს, რომელიც ცენტრალური კავკასიონის დიდ, ურთულეს ტრავერსს აწყობს. შეუპოვარი მთამსვლელების ფეხთ ქვეშ იკეცება კავკასიონის მთავარი ქედის 80 კილომეტრი და ერთიმეორის მიყოლებით ეცემა 20-მდე მწვერვალი, შელეწილია კავკასიონის ბასტიონები — წურუნგალა, აილამა, შხარა, ულუ-ყარა და სხვ. ეს იყო, თვით ა. ჯაფარიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ურთულესი და უძნელესი ლაშქრობა ყველა იმ ლაშქრობათა შორის, რომელიც ოდესმე ჩატარებულა კავკასიონზე“.

1943 წელი — ახალი უმაგალითო გამარჯვება! მრისხანე უშბა, რომელმაც არაერთი მამაცი მთამსვლელი შეიწირა და რომლის დაპყრობა მთელს მსოფლიოში მხოლოდ ივლის-აგვისტოს თვეებში მიაჩნდათ შესაძლებლად, დაპყრობილ იქნა ზამთრის პერიოდში — ოქტომბერ-ნოემბერში!...

• • •

სამნი მიიკვლევენ გზას უშბასაკენ და 1945 წლის 5 ოქტომბერს მის მწვერვალზეც მოექცნენ — ა. ჯაფარიძე, ქ. ონიანი და ნ. მუხინი. კიდევ ერთხელ, და ისიც ზამთარში, მოიდრიკა პირქუში მწვერვალი მამაცი მთამსვლელების წინაშე. რაზმი გამარჯვებას ზეიმობს! ირგვლივ კი ქარბუქი მძვინვარებს და ღამის მრუმე ფარდებით იმოსება მწვერვალი. კარავი იშლება. ალიოშა ჩაიმუხლებს და ბარათს სწერს. დილით კიდევ რამდენიმე სტრიქონი ემატება მას: „ჩვენ კარავში ვართ, გარეთ ძლიერი თოვაა. ხვალ აუცილებლად უნდა ვიყოთ უშბის პლატოზე. დავიწყეთ ჩასვლა 6-X, 12 ს. მიუხედავად ქარბუქისა“.

და აი, მცირე რაზმი, საშინელი ამინდის მიუხედავად ახლა უკვე ქვევით მიიკვლევს გზას, ჩასცდა უნაგირას და სტიქიასთან მედგარი ბრძოლის შემდეგ გულის მყინვარზე დაიბანაკა. კვლავ ჩამოწვა ღამის სუდარა. ეს იყო უკანასკნელი, მტარვალი ღამე ალიოშასა და მისი თანამოლაშქრეებისათვის.

... გრგვინვამ შეძრა მიდამო და დამძრული ზვავი დაემგერა მთვლემარე კარავს... შემდეგ, გრგვინვა ნაპრალებში ჩაიმარხა და ქარბუქის ბოროტი ხარხარილა გაისმოდა დაყრუებულ კავკასიონზე..

„მრისხანეა უშბა...“ — კიდევ გაისმოდა სვანეთში...

* * *

მწარედ იძიეს შური მისმა გაზრდილებმა მწვერვალთა სტიქიონზე. მრავალჯერ დაილაშქრა მას შემდეგ უშბაც. ქვეყანა ალაპარაკდა ქართველი ვაჟკაცების მიერ შხელდა-უშბის სარეკორდო ტრავერსზე, ხოლო ახლახანს, თითქოს წინასწარდამთხვევითო, სასიხარულო ცნობები მოგვიტანეს ტელეგრაფის მავთულებმა: ქართველი მთამსვლელების მიერ ურთულესი ტრავერსით დაილაშქრა პამირის შვიდი მწვერვალი, ხოლო კავკასიონზე დაეცა ჯანღა...

ასეა: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“...

• • •

მაგრამ იყო ერთი დიდი განსხვავება სიმონ ჯაფარიძისა და ალიოშა ჯაფარიძის ტრაგიკულ დაღუპვებს შორის. სიმონის ცხედარი ღირსეულად დაიტირა და მშობლიურ მიწა-წყალს მიაბარა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. ალიოშას ცხედარს კი 1945 წლიდან დღემდე არ გვანებებდა მწვერვალი უშბა. 12 წლის განმავლობაში დაჟინებით გამოსთხოვდა თავისი ძმის დაკარგვის საიდუმლოებას ალექსანდრა ჯაფარიძე, მაგრამ უტყვად ჩაეკრა გულში „მწვერვალთა მესაიდუმლე“ და მისი თანამებრძოლნი გულის ყინვარს.

და აი, ბოლოსდაბოლოს, გულის ყინვარმაც გადიხსნა გული...

მიმდინარე წლის 23 აგვისტოს ალექსანდრა ჯაფარიძის სახელზე დეპეშა მოვიდა მესტიიდან...

ამ დღეს ქართველ ალპინისტთა ჯგუფი, ძიძიგურის ხელმძღვანელობით, უშბაზე [illegible] დაბანაკებისას მას გზად შემოხვდნენ რუსი ალპინისტები, რომლებიც უშბიდან ეშვებოდნენ. მათ ზურგჩანთები დაეტოვებინათ ზევით, გულის ყინვართან და ძიძიგურმაც სასწრაფოდ მაშველი რაზმი გაგზავნა სტუმართა ბარგის ჩამოსატანად. მაშველი რაზმი ყინვარის მიდამოებს მოედო და... შესაძლებელია მიმდინარე წელს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული სიცხეების მეოხებით, მნიშვნელოვნად შეთხელებულ თოვლსა და ყინულებს შორის შეამჩნია გვამი.

წინასწარმა გამოკვლევამ დაადასტურა ეჭვები, რომ ეს ა. ჯაფარიძის ცხედარი იყო. საიდუმლოებას საბოლოოდ აეხადა ფარდა, როცა აქ მოსულმა ალექსანდრა ჯაფარიძემ დაუყოვნებლივ იცნო თავისი ძმის ჯიბის დანა და ფოტოაპარატი.

ძიება გაგრძელდა ალექსანდრა ჯაფარიძის მონაწილეობით და მას მალე შემოუერთდა სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ანუფრიკოვის 15-კაციანი ჯგუფი, რომელსაც ძიძიგურმა უშბის „ყელსახვევთან“ შეხვედრისას შეატყობინა გულის ყინვარის ამბავი. 27 აგვისტოს ნაპოვნი იქნა მეორე ცხედარიც — ეს ქელეშში ონიანი იყო.

ახალი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სვანეთს. გლოვამოსილი ზეიმითა და დიდებით გამოაცილეს ძვირფასი ნეშტი თბილისისაკენ ა. ჯაფარიძის ძველმა და ერთგულმა მეგობრებმა, ხოლო ქ. ონიანი ლენტეხში წაასვენეს.

ღრმა სახალხო პატივისცემისა და მადლიერების გრძნობა მოჰყვებოდა ვალმოხდილსა და ქარტეხილებთან ბრძოლებში მოქანცულ ცხედარს მთელი გზის მანძილზე.

ამავე გრძნობით მიაცილებენ ამ ბობოქარ ადამიანს დღეს თბილისის მშრომელები მის უკანასკნელ სავანემდე — კიროვის სახელობის პარკის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილამდე, საიდანაც გოროზად იშლება მარადთოვლიანი კავკასიონის დიდებული პანორამა.

და უფრო მაღლა აწევენ ქართველი მთამსვლელები საბჭოთა ალპინიზმის დროშას, რომელიც ასე მტკიცედ და ღირსეულად ეპყრა ხელთ ალიოშა ჯაფარიძეს — თეთნულდის, უშბის, შხარას და კავკასიონისა და პამირის სხვა მწვერვალების უმამაცეს რაინდს!

შ. ჯულელი

სტრატოსფეროდან ღამით

ამ დღეებში საბჭოთა პარაშუტისტების გუნდმა სპორტის დამსახურებული ოსტატის ბ. რომანიუკის, ოსტატების — ნ. ნიკიტინის, ე. ანდრეევის, გ. ნიკოლაევის, პ. იშჩენკოს და ა. სავინის შემადგენლობით ღამით მოახდინა გადმოხტომა რეაქტიულ თვითმფრინავ „სოკოლიდან“, რომელიც 14 ათას მეტრზე მაღლა დაფრინავდა. სპორტსმენებმა პარაშუტები გახსნეს 13 კილომეტრის ვარდნის შემდეგ. ეს შედეგი 1500 მეტრით აღემატება ჩეხოსლოვაკელი სპორტსმენების გ. კუბეკის, ზ. კაპლანისა და ი. ეგლიჩკას მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

ორი პირველი ადგილი

ამას წინათ ტივატში (იუგოსლავია) გაიმართა პარაშუტისტთა საერთაშორისო შეჯიბრება საფრანგეთის, შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, იზრაელის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ავსტრიისა და იუგოსლავიის სპორტსმენთა მონაწილეობით.

შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგი აჩვენა საბჭოთა პარაშუტისტმა ი. ტეკლინმა, რომელმაც 1.200 შესაძლებლიდან დააგროვა 1.125 ქულა. მან გადაეცა ჩერნოგორიის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარის ბ. იოვანოვიჩის თასი.

ქალთა შორის პირველი ადგილი ასევე საბჭოთა სპორტსმენმა ნ. პრიახინამ დაიკავა (1.033 ქულა). მეორე ადგილზე საბჭოთა პარაშუტისტი ვ. სელივერსტოვა გამოვიდა (925 ქულა).

იუბილეს მიუძღვნეს

გასულ კვირას, ბათუმის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავს.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკის კორტებზე ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდის წევრები. საინტერესო იყო ვაჟთა წყვილის ნ. ოზეროვ-ს. ანდრეევისა და ვ. ანისიმოვ-მ. კორჩაგინის შეხვედრა. გაიმარჯვეს უკანასკნელებმა — 2:1. ფრენბურთის მოედანზე გამართულ ელვისებურ ტურნირში მონაწილეობდნენ ქალაქის უძლიერესი გუნდები.

აჭარის ჩემპიონმა ჭადრაკში გ. ჭანტურიამ 20 დაფაზე ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი. „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა აჭარისა და ქუთაისის მძლეოსანთა ამხანაგური მატჩი.

ი. კუხიდი

ჩვენ გვწერენ

ახალგაზრდების სურვილი უგულებელყოფილია

ლელობურთი ხალხური სპორტის მეტად საინტერესო სახეობაა. მას მდიდარი წარსული აქვს, კერძოდ, ზუგდიდის რაიონშიც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყოველწლიურად ტარდება რესპუბლიკური შეჯიბრება, ზუგდიდელი ლელობურთელები გამოთიშულნი არიან მას. მეტიც—ზუგდიდელ ახალგაზრდებს დიდი სურვილი აქვთ შექმნან ლელობურთელთა გუნდები, მაგრამ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი ამ სურვილს არაფრად აგდებს.

რამდენიმე წლის წინ ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში არსებობდა ასეთი გუნდი, მაგრამ მასზე ამჟამად მოგონებებიღა დარჩა... ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა და ძირეულმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დროულად უნდა იზრუნონ რაიონში ლელობურთის თავის უფლებებში აღდგენისათვის.

გ. ალშიბაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათამაშება დღეს დამთავრდება

დღეს თბილისსა და კრასნოდარში გაიმართება „ა" კლასის ფრენბურთელ ქალთა გუნდების მეორე წრის მეორე ტურის უკანასკნელი მატჩები საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თბილისის ჯგუფში მონაწილეობენ გათამაშების ლიდერი მოსკოვის „ლოკომოტივი", რომელმაც დღემდე გამართული 21 მატჩიდან მხოლოდ ერთხელ განიცადა დამარცხება (მოსკოვის „დინამოსთან"), გათამაშების მეორე ლიდერი ლენინგრადის „ბურევესტნიკი", ხარკოვის „ბურევესტნიკი" და აუტსაიდერები — მოსკოვის „სპარტაკი", ტალინის „კალევი" და თბილისის „ბურევესტნიკი". ცსკ-მო, ლენინგრადის „სპარტაკი", კრასნოდარისა და მოსკოვის „დინამო", ბაქოს „ნეფტიანიკი" და რიგის „დაუგავა" დასკვნით მატჩებს გამართავენ კრასნოდარში.

თბილისის ტურის დაწყებამდე ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელებს სატურნირო ცხრილში 21 ქულით ბოლო ადგილი ეკავათ. გამართული 19 მატჩიდან მათ მხოლოდ ორი მოგება ჰქონდათ. ამიტომ ყველა მოელოდა, რომ ისინი უკანასკნელი სამი მატჩის ძლიერად ჩატარებით თავს დააღწევდნენ საშიშ ზონას და შეინარჩუნებდნენ მომავალ წელს „ა" კლასში მონაწილეობის უფლებას. მართლაც, 30 აგვისტოს, თითქოს გამარჯვების რწმენით გამოვიდნენ თბილისელები მოედანზე ლენინგრადის „ბურევესტნიკის" წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა კოლექტივი წინა წლებთან შედარებით საკმაოდ სუსტად გამოიყურება (წამყვან სპორტსმენთა გუნდიდან წასვლის გამო) პირველი პარტია თავიდანვე მათ წაიყვანეს. კაპიტნის, სპორტის ოსტატ ა. ძუგაევას მოწოდებას სტუმრებმა ცუდი ბლოკით უპასუხეს, ანგარიში გაიხსნა. თბილისელებმა ტემპიანად გაითამაშეს რამდენიმე კომბინაცია და ზედიზედ კიდევ სამი ქულა მოიპოვეს. სტუმრებს აშკარად დაეტყოთ დაბნეულობა, უსისტემოდ იგერიებდნენ თბილისელთა ყველა იერიშს, რაც არ გამოპარვია მწვრთნელს, რომელმაც მდგომარეობიდან გამოსავალი წუთშესვენების აღებაში ნახა. ვარაუდი გამართლდა.

თამაშის განახლებისას სტუმრებმა შესძლეს ანგარიშის გათანაბრება. შემდეგში გ. ჯალაღანიას, ც. აბუაშვილისა და ა. ძუგაევას ზუსტი თამაშით, რომლებიც ერთნაირი სიძლიერისა იყვნენ როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში, მასპინძლებმა კვლავ თავიანთ სასარგებლოდ წაიყვანეს ანგარიში 6:4; 7:5; 9:5 ლენინგრადელებმა კვლავ ნაცად ხერხს მიმართეს — შეცვალეს რამდენიმე მოთამაშე, მასპინძლები ენერგიულად აგრძელებენ თამაშს მაგრამ... პარტია ლენინგრადელთა სასარგებლოდ (15:12) დამთავრდა.

მეორე პარტიაში ლენინგრადელებმა „ჩაკეტეს" თბილისელთა თავდასხმის ლიდერი აბუაშვილი და გადავიდნენ შეტევაზე. თბილისელებმა შეცვალეს ტაქტიკა. გადამწყვეტ დარტყმაზე უფრო ხშირად გადიოდნენ ზურგიდან. დროდადრო სამსვლიანი კომბინაციის ნაცვლად მიღებისთანავე აბრუნებდნენ ბურთს მოწინააღმდეგის ნახევარზე. რაც რამდენჯერმე მოულოდნელი აღმოჩნდა სტუმრებისათვის და თბილისელთა მიერ მოპოვებულ 9 ქულას ლენინგრადელებმა 5 ქულით უპასუხეს. ეს იყო და ეს რისი გაკეთებაც შეძლეს მასპინძლებმა. შემდეგში თითქოს ამოიწურა მათი ტექნიკური არსენალი. კომბინაციებმა მარტივი, ერთფეროვანი სახე მიიღეს და მეორე პარტიაც (11:15) წააგეს.

მესამე პარტია, მართალია, თბილისელთა ერთგვარი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მალე კვლავ თავი იჩინა დაბნეულობამ, დაცვის შეუთანხმებლობამ, სტუმართა ტექნიკურმა სიძლიერემ. ეს უკანასკნელები გადამწყვეტ დარტყმას ახორციელებდნენ ყველა მდგომარეობიდან და მოიგეს შეხვედრა.

პირველ დღეს ეს იყო ყველაზე საინტერესო შეხვედრა. მოსკოვის „სპარტაკის" წინააღმდეგ თამაშობდა ტალინის „კალევის" ფრენბურთელთა გუნდი. მატჩი უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. წვრთნას უფრო გავდა ვიდრე საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრას გათამაშების ლიდერის, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონის მოსკოვის „ლოკომოტივის" მატჩი ხარკოვის „ბურევესტნიკთან". შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით— 3:0.

გათამაშება დღეს დამთავრდება.

ო. გელაშვილი

• • •

სურათზე: თბილისისა და ლენინგრადის გუნდების თამაშის მომენტი. ბურთს იღებს თბილისელი ჯალაღანია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



სურათზე: მოლდავეთისა და ლიტვის ნაკრები გუნდების შეხვედრის ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩემპიონატის სტარტზე

ამ დღეებში თბილისის სპორტის მოყვარულებს დიდი „გაჭირვება" ადგათ — სად წავიდნენ? რომელ სპორტულ სანახაობას დაესწრონ? კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ფრენბურთელი ქალები, საცურაო აუზში დაიწყო „ბ" კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი წყალბურთში. ეს არ არის ყველაფერი. რამდენიმე დღეში დაიწყება კალათბურთელთა ტურნირი და უძლიერეს ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. ერთი სიტყვით, სანახავი ბევრი რამ არის, მთავარია, დროის რაციონალურად გამოყენება.

წყალბურთელთა ტურნირში მონაწილე გუნდების კენჭისყრამ ასეთი სურათი მოგვცა: „ა" ჯგუფში მოხვდნენ — რსფსრ II (სტალინგრადის „სპარტაკი"), ყირგიზეთი, სომხეთი, მოსკოვის „ბურევესტნიკი", ლენინგრადის „სპარტაკი" და ლატვია. „ბ" ჯგუფში გამოდიან — ბელორუსია (მინსკის „ბურევესტნიკი"), უზბეკეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა (ლვოვის „დინამო") და აზერბაიჯანი (ბაქოს „ნეფტიანიკი"). მესამე ჯგუფში იბრძვიან მოლდავეთი, რსფსრ I, საქართველო (თბილისის „ბურევესტნიკი"), ყაზახეთი, ესტონეთი (ტალინის „დინამო") და ლიტვა.

შეჯიბრების პირველ დღეს გაიმართა შვიდი შეხვედრა. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა რსფსრ I კოლექტივის მატჩი ესტონელ წყალბურთელებთან. ძლიერ და გამოცდილ მოწინააღმდეგეს ესტონელებმა დაუპირისპირეს ახალგაზრდული კოლექტივი, რომელმაც მთელი შეხვედრა უაღრესად მონდომებით ჩაატარა. თავდაპირველად შთაბეჭდილება დარჩა, რომ რუსეთის ფედერაციის სპორტსმენები იოლ გამარჯვებას მიაღწევდნენ. ეს აზრი კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც სპორტის ოსტატმა სოლოვიოვმა ძლიერი დარტყმით დასაწყისშივე გაიტანა ბურთი ესტონელების კარში. ესტონელებმა სცადეს საპასუხო შეტევაზე გადასვლა, მაგრამ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა სოლოვიოვმა (სწორედ იმან, რომელმაც გაიტანა გოლი) შესძლო სახიფათო გარღვევის ნეიტრალიზება, მაგრამ ამისათვის მან გამოიყენა უხეშობა. მსაჯმა იგი სამართლიანად გააძევა აუზიდან. ესტონელებს დარჩათ მოედანზე რაცხვობრივი უპირატესობა, რაც მათ წარმატებით გამოიყენეს და გაათანაბრეს ანგარიში.

შემდგომში რსფსრ-ს წარმომადგენლებმა გაიტანეს კიდევ ერთი გოლი, მაგრამ უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. უკანასკნელ წუთებზე ესტონეთის გუნდის ერთ-ერთმა თავდამსხმელმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2. ასეთი ანგარიშით დამთავრდა ეს შეხვედრა. ესტონელებისათვის ეს შედეგი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ რუსეთის ფედერაციის ძლიერმა გუნდმა დაკარგა მეტად საჭირო ქულა.

მოლდავეთისა და ლიტვის გუნდების შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობა მოლდაველების მხარეს იყო. მათ მიჰყავდათ კიდეც ანგარიში, მაგრამ შემდგომში ლიტველები, როგორც იტყვიან, გათამაშდნენ და 4 მშრალი ბურთი გაიტანეს. შეხვედრა დამთავრდა 4:1 მათი გამარჯვებით.

თბილისის „ბურევესტნიკი" ამ დღეს შეხვდა ყაზახეთის ნაკრებს. მატჩის დასაწყისშივე ყაზახებმა შესძლეს თბილისელთა ნახევარზე რიცხობრივი უპირატესობის შექმნა და ძლიერად დაარტყეს კარში. მეკარე გოიაშვილმა თვალი გააყოლა მხოლოდ კარისაკენ მიმავალ ბურთს 1:0. ეს იყო ყაზახების პირველი და უკანასკნელი წარმატება. თბილისელებმა ენერგიულად შეუტიეს მოწინააღმდეგეს და მარგიევმა გაქვითა ანგარიში. ამის შემდეგ დაიწყო ყაზახეთის კარის „დაბომბვა". „ბურევესტნიკის" წყალბურთელები ჯაბნიდნენ მეტოქეებს როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად და სისწრაფეში. გოლი-გოლს მისდევდა და როდესაც მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა გაისმა, სადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა ანგარიშს — 12:1 თბილისის გუნდის სასარგებლოდ.

ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ოსტატობის მიხედვით საკმაოდ განირჩევიან ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად, სუსტი გუნდები ჰყავთ შუა აზიის რესპუბლიკებს. ეს ნათელი გახდა ტაჯიკეთ-უზბეკეთის კოლექტივების შეხვედრაშიც. შეხვედრა მოიგეს ტაჯიკებმა — 4:1. ლენინგრადის „სპარტაკმა" დიდი ანგარიშით დაამარცხა ყირგიზეთის ნაკრები — 9:0. მოსკოვის „ბურევესტნიკისა" და სომხეთის გუნდების მატჩის ანგარიშია 2:2.

შეჯიბრება გრძელდება.

ნ. ახვლედიანი

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 სექტემბრისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	13	9	3	1	24:7	21
„სპარტაკი" მ.	15	8	3	4	27:17	19
„დინამო" კ.	12	6	5	1	17:7	17
ცსკ მო	15	8	1	6	32:21	17
„ლოკომოტივი"	13	7	3	3	21:15	17
„ტორპედო"	13	5	5	3	23:16	15
„დინამო" თბ.	12	7	1	4	19:15	15
„ბურევესტნიკი"	15	2	8	5	14:18	12
„შახტიორი"	15	4	4	7	11:20	12
„ზენიტი"	14	3	3	8	15:29	9
„კრ. სოვეტოვი"	17	1	7	9	5:26	9
„სპარტაკი" მნ.	16	1	5	10	8:25	7

• • •

მოსკოვი. 30 აგვისტო. აქ შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „დინამო" (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი).

მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 6:0.

სსრ კავშირის თასზე

ქ. სტალინსკში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ადგილობრივმა „მეტალურგმა" მიიღო თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი.

მატჩი მოიგეს არმიელებმა ანგარიშით 6 : 0.

დაძაბულ ბრძოლაში

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 31 აგვისტო.

ოსკ (თბილისი) — „ლოკომოტივი" (ქუთაისი) — 3:2 (2:2).

ოსკ — ივანოვი, ჭანჭალეიშვილი, ხიჭინავა, კვირკველია, ხუნდაძე, მიროშნიკოვი, მიქაძე, ნორაკიძე, მელაშვილი, კურტანიძე (ზაბაევი), ბეგლარიანი.

„ლოკომოტივი" — კვაჭაძე, კვახაძე, გაიხარაშვილი, პეტრიაშვილი (ანთიძე), ბობოხიძე, კახნიაშვილი, ხორდია, ჯავახაძე, კახიანი, გომელაური, ცაგარეიშვილი.

მსაჯი ი. გრიგორიევი (ბაქო).

საქართველოს ორი გუნდის მატჩი „ბ" კლასის პირველობაზე თავიდანვე უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში დაიწყო.

მე-10 წუთზე რკინიგზელთა საჯარიმო მოედანზე დაინიშნა თავისუფალი დარტყმა. გაიხარაშვილმა მარცხნივ მოიგერია ბურთი, მაგრამ ჭანჭალეიშვილმა იგი კვლავ უკან დააბრუნა და მელაშვილმა ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში — 1:0.

წუთის შემდეგ კახიანმა თავით მიიღო გომელაურის გადაცემა, ზუსტად გამოიყენა ივანოვის შეცდომა (იგი უდროოდ გამოვიდა კარიდან) და გაქვითა გოლი — 1:1.

სულ მალე ანალოგიური შეცდომა გაიმეორა ქუთაისელთა მეკარემ. მან დატოვა კარი და ნორაკიძემ კურტანიძის გადაცემიდან კვაჭაძის თავს ზემოდან გადაგდებით ბურთი ბადეში გაგზავნა — 2:1.

3 ბურთი ასეთი საპასუხისმგებლო მატჩის დასაწყისში! ბრძოლამ კიდევ უფრო დაძაბული და მწვავე ხასიათი მიიღო. ლოკომოტიველები სულ უფრო უმატებენ ტემპს და ცდილობდნენ არ მიეცათ მოწინააღმდეგისათვის კომბინაციური თამაშის საშუალება. თბილისელებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა; მაგრამ „ლოკომოტივიც" ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდა კონტრიერიშისათვის. ტაიმის ბოლო წუთები სტუმართა განუწყვეტელი შეტევებით აღინიშნა. რომელთაგან ერთ-ერთი გომელაურის მიერ ახლო მანძილიდან გატანილი გოლით დამთავრდა.

მეორე ტაიმში ქუთაისელებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს — ნორაკიძეს მიუჩინეს ანთიძე, რომელიც არმიელთა მთავარ „კომბინატორს" არ აძლევდა ბურთების განაწილების საშუალებას. ამის მიუხედავად მელაშვილს და ნორაკიძეს ჰქონდათ ორი აშკარა გოლის გატანის შესაძლებლობა. ასევე ვერ გამოიყენა კარგი მდგომარეობა ცაგარეიშვილმაც.

გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, გატანილ იქნა 30-ე წუთზე — ნორაკიძემ შორი მანძილიდან დაარტყა კარში, ბურთი შეუფერხებლად გაძვრა მოთამაშეთა დიდ ჯგუფში და შევიდა კარში — 3:2.

არმიელებმა მოიპოვეს მორიგი, მეტად საჭირო 2 ქულა.

რ. ხტაუაძე

„ტორპედო"—„ნიცა"

სსრ კავშირის გუნდებთან ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად მოსკოვს ეწვია საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიული კლუბი, საფრანგეთის 1955-56 წლების ჩემპიონი ფეხბურთში, „ნიცა".

სტუმრებმა პირველი მატჩი ჰქონდათ დედაქალაქის „ტორპედოსთან". მიუხედავად იმისა, რომ მთელი თამაშის განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმდა, თამაში ჩატარდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში.

მატჩი მოიგო „ტორპედომ" ანგარიშით 4 : 1.

მოსკოვიდან იტალიას გაემგზავრა სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკი". სპარტაკელები იტალიაში ჩაატარებენ 2 საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას უძლიერეს პროფესიულ გუნდებთან „ფიორენტინასთან" და „მილანთან".

ამაღელვებელი თემა

სპორტული თემა თანდათანობით სულ უფრო და უფრო იმკვიდრებს „მოქალაქეობრივ უფლებას" ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა შორის. ეს პროცესი განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა ახალგაზრდა მხატვრებისა და მოქანდაკეების შემოქმედებაში. ამ ბოლო დროს ბევრი ახალგაზრდა ხელოვანის ფუნჯი და საჭრეთელი ამუშავდა ამ ამაღელვებელ თემაზე.

მცირე ხნის წინათ ახალგაზრდა მოქანდაკე დ. ყიფშიძემ მუშაობა დაამთავრა საინტერესო ნაწარმოებზე, რომელსაც „ჩემი ფალავანი" ეწოდება. ეს არის ქართველი მოჭიდავის ნატურალური ზომის ქანდაკება, რომელიც სადეკადო გამოფენისათვის აქვს განკუთვნილი ავტორს და რომელზეც იგი ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა. თავის ნაშრომში მოქანდაკე ეცადა გამოეკვეთა ქართული ჭიდაობის ჭაბუკი ოსტატი ქართველი ფალავნისათვის დამახასიათებელი კეთილშობილებითა და თავმდაბლობით. „ჩემი ფალავანი" ახლად დამთავრებულ ორთაბრძოლაში გამარჯვებულ მოჭიდავეს წარმოადგენს. გამარჯვების მიუხედავად, მას დინჯი, არაყოყოჩი გამომეტყველება აქვს შენარჩუნებული, მის ერთგვარად ამაყ, ჩაუქურ დგომში აშკარად იგრძნობა აგრეთვე ავტორის მიერ ხაზგასმული თავდაბლობა და გონივრულობა, რაც დამარცხებული მოწინააღმდეგისადმი ფალავნის რაინდულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

ახალგაზრდა შემოქმედთა ბოლო ნაშრომებს მიეკუთვნება აგრეთვე სპორტულ თემებზე შექმნილი რამდენიმე ნაწარმოები, რომელთა შორის აღსანიშნავია მოქანდაკეების გ. ფირცხალავას, თ. ასათიანის, ი. ოქროპირიძისა და სხვათა ნამუშევრები. გ. ფირცხალავამ გამოკვეთა მსოფლიო ჩემპიონის გ. კარტოზიას პორტრეტი, ხოლო თ. ასათიანმა — ნატურალური ზომის მოჭიდავის ფიგურა. სპორტის ეროვნულ ქართულ სახეობას — ყაბახს მიუძღვნა თავისი ნაწარმოები მოქანდაკე ი. ოქროპირიძემ.

საინტერესო მხატვრული გადაწყვეტა აქვს მოძებნილი სპორტულ თემას ა. ვეფხვაძის ფერწერულ ნაწარმოებში — „შეჯიბრების წინ". ტილო წარმოადგენს სპორტსმენთა გასახდელს, სადაც ფრენბურთელები მომავალი გადამწყვეტი ასპარეზობისათვის ემზადებიან. ორი ახალი „სპორტული" ნაწარმოებით გაგვახარა მხატვარმა დ. ხახუტაშვილმაც, რომელმაც ამჯერად ჭიდაობისა და ფრენბურთის თემებს მიუძღვნა თავისი ფუნჯი.

შ. ვარდუკიძე

• • •

სურათზე: დ. ყიფშიძე თავის ატელიეში „ჩემ ფალავანზე" მუშაობის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მაყურებელმა გადაწყვიტა

ევროპაში ბევრი პირველხარისხოვანი ველოსტადიონია, მაგრამ საუკეთესონი მხოლოდ საფრანგეთში, იტალიასა და ბელგიაშია. პარიზში, როგორც ამბობენ 100-მდე დიდი და პატარა ტრეკია. ზოგიერთი მათგანი კაფესა და ტრეკის ანსამბლს წარმოადგენს. ასეთ ველოსტადიონზე იმართება უმთავრესად ნახევრადსპორტული სანახაობები პროფესიონალთა მონაწილეობით. პარიზის საუკეთესო ტრეკი „პარკ დე პრენსი", რომელიც სახელგანთქმულია მთელს მსოფლიოში, დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების ტრადიციული ადგილია. სხვათა შორის, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი აქ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ველოსპორტის ბელგიელმა მეცენატებმა საერთაშორისო ფედერაციაში „გაჩარხეს" საქმე და უკანასკნელ მომენტში პირველობა ბელგიაში გადაიტანეს. ფრანგები გონს მაშინ მოვიდნენ, როდესაც კომერციულ ფრონტზე ბრძოლა უკვე წაგებული იყო და თავი მომავლის იმედით დაიმშვიდეს. ფედერაციამ პირობა დაუდო ფრანგებს, რომ 1958 წელს მსოფლიო პირველობა „პარკ დე პრენსზე" მოეწყობათ.

ბელგიის ერთ-ერთი სამრეწველო ქალაქი ლეჟე თავისი არანაკლებ სახელგანთქმული ტრეკით „როკურით" მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. ლეჟესაკენ დაიძრნენ უცხოელ ტურისტთა „ეშელონები". ჯერ მარტო ფრანგებმა 2.000-მდე ტურისტით ოკუპაციაში მოაქციეს „როკურის" ველოსტადიონი. ათასობით ტურისტი — ველოსპორტის მოყვარული ჩამოვიდა ლეჟეში დასავლეთ გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, დანიიდან, იტალიელ ტურისტების „ლაშქარს" სათავეში ედგა ცნობილი კინომსახიობი სილვანა პამპანინი.

იყო დრო, როდესაც პროფესიონალ და მოყვარულ ველოსიპედისტებს დავა ჰქონდათ ერთმანეთში პრიორიტეტზე. მაშინ ძნელი გასაგები იყო რომელი სჯობდა რომელს. მას შემდეგ პროფესიონალურმა ველოსპორტმა საკმაოდ მაღლა ასწია თავისი ოსტატობა და დიდების გვირგვინი თავის მხარეს გადმოიტანა. ახლა უკვე ასე დადგინდა — პროფესიონალები სჯობიან მოყვარულებს და უკანასკნელნიც შეეჩვიენ ამ აზრს. მოყვარულებმა რამდენჯერმე სცადეს დაკარგული პრესტიჟის აღდგენა და გამოვიდნენ პროფესიონალებში, მაგრამ ისინი, როგორც წესი, უძლიერესთა ათეულშიც კი ვერ მოხვდნენ. მხოლოდ ერთეულებს გაუმართლდა რამდენჯერმე, მაგრამ მე-5 ადგილზე ზევით ისინი არ ასულან. პროფესიონალები ამით ამაყობენ და თავიანთი სიძლიერის დემონსტრაციას მოყვარულების გვერდით ახდენენ. სწორედ ამიტომ დადგინდა ტრადიციად პროფესიონალებისა და მოყვარულების ჩემპიონატის გამართვა პარალელურად — ერთ ველოტრეკზე ერთსა და იმავე დროს.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელმა ჩემპიონატმა ცხადყო, რომ მოყვარულები ოსტატობაში თითქმის აღარ ჩამორჩებიან პროფესიონალებს. ეს პირველ რიგში ითქმის მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონზე სპრინტში, ფრანგ რუსოზე. აი რას წერდა მის შესახებ ერთ-ერთი ბელგიური გაზეთი — „რუსო რომ არ არის პროფესიონალი, ეს შეცდომის ბრალია. იგი თავისი უბადლო ოსტატობით არაფრით არ ჩამორჩება ჰოლანდიელ „ბებრებს" დერქსენსა და ვან ფლიტს. თუ დავუმატებთ იმასაც, რომ რუსო სულ რაღაც 22 წლისაა, ხოლო ვან ფლიტი მასზე ორჯერ უფროსია, გასაგები გახდება ვინ მოიგებს მსოფლიო პირველობას მომავალ წელს, თუ რასაკვირველია, რუსო პროფესიონალებში გადავა".

მოყვარულებს შორის სპრინტი წელს მეორედ მოიგო რუსომ. მან ფინალში დაამარცხა იტალიელი პეზენტი. პროფესიონალებში სპრინტი დერქსენმა (38 წლისაა) მოიგო, მაგრამ მისმა თანამემამულემ 44 წლის ვან ფლიტმა ჟურნალისტებს აღუთქვა, რომ იგი მომავალ წელს შეეცდება დასაჯოს „თავხედი ძუძუწოვარი".

სხვათაშორის გაზეთებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა ველოსიპედისტებსაც, რომლებიც მონაწილეობდნენ მსოფლიო პირველობაში. სპეციალისტების აზრით, რომანოვს აქვს საჩემპიონო სისწრაფე. მას ხელს უშლის მხოლოდ ტაქტიკური ერთფეროვნება, რაც გამოუცდელობის ბრალია". „რომანოვი ძალაა, — წერდა ფრანგული გაზეთი, — რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ".

ლეჟეს ველოტრეკი, სადაც ტარდებოდა მსოფლიოს პირველობა, რამდენიმე ბანაკად იყო დაყოფილი. ფრანგები მხარს უჭერდნენ ფრანგებს, იტალიელები — იტალიელებს, ბელგიელები და ჰოლანდიელები—თავიანთ ველოსიპედისტებს. აჟიოტაჟი ხშირად ისეთ ფარგლებს აღწევდა, რომ ძნელი გასარკვევი იყო რა ხდება ტრიბუნებზე. ასეთ დროს პირველ პლანზე გამოდიოდნენ პოლიციელები, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ავტორიტეტს ძალა არ ჰქონდა. ეს შეიძლება იმიტომ, რომ დაძაბულობა უმაღლეს წერტილამდე არ ასულა და რეზინის ხელჯოხები არც ერთხელ არ შესულა ხმარებაში.

მიუხედავად ამისა, „როკურის" მაყურებელი არაჩვეულებრივ ობიექტურობას იჩენდა ფაქტების მიმართ. როდესაც სპრინტერულ რბოლაში იტალიელმა პეზენტიმ წინ გაჭრილ რომანოვის ველოსიპედს თავისი მანქანით ხელი შეუშალა და წააქცია, ტრიბუნებს აღშფოთების ტალღამ გადაუარბინა. განმეორებით რბოლა მოიგო იტალიელმა, მაგრამ მისთვის ოვაცია არ გაუმართავთ.

ადგილი ჰქონდა კიდევ ასეთ შემთხვევას. 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლას ორი ფავორიტი ჰყავდა — განდინი და სიმონიგი. ბრძოლა პირველობისათვის მათ შორის იმდენად დაძაბული იყო, რომ მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. პირველად მოგება განდინს მისცეს, [illegible] მაყურებელმა უკმაყოფილება გამოსთქვა. [illegible] საკითხი ვერ გადაწყვიტა, რადგან ორივე სპორტსმენის მანქანა მილიმეტრებში ემთხვეოდა ერთმანეთს. საღამოთი მსაჯთა კოლეგიამ შეცვალა პირვანდელი გადაწყვეტილება და პირველ ადგილზე სიმონიგი სცნო. მეორე დილით განდინის მწვრთნელმა პროტესტი შეიტანა და მსაჯთა კოლეგიამ მესამედ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. ბოლოს საქმეში ჩაერია მაყურებელი — ყველაზე უფრო ობიექტური მსაჯული. ათასობით ადამიანი გამოვიდა ტრეკის ოვალში და მსაჯთა კოლეგიას წაუყენა ასეთი ულტიმატუმი: თუ თქვენ სამართლიანად არ გადაწყვეტთ რბოლის ბედს და გამარჯვებას არ მიანიჭებთ სიმონიგს, არ გადავალთ ტრიბუნებზე და ჩავშლით შეჯიბრებას. მსაჯთა კოლეგიამ მიიღო მეოთხე და უკანასკნელი გადაწყვეტილება და ჩემპიონის მაისური სიმონიგს გადასცა. ამ გადაწყვეტილებით გულდაწყვეტილნი იყვნენ მხოლოდ ქალები, რადგან ისინი თავიდანვე მოიხიბლნენ განდინის ლამაზი გარეგნობით. ექსტაზში შესულმა რომელიღაც გოგონამ მოულოდნელად იყვირა ტრიბუნიდან — ვკითხოთ სილვანა პამპანინს ვინ გაიმარჯვა, განდინიმ თუ სიმონიგმა. ამჯერად ახალი ძალით იფეთქა ქალთა ჯგუფის პროტესტმა. საბედნიეროდ ველოტრეკზე ამ დროს არ იმყოფებოდა ცნობილი იტალიელი მსახიობი და მამაკაცებმა შედარებით ადვილად ჩააქრეს „ქალთა ბუნტი". ამ ინციდენტის შესახებ ერთ-ერთი ფრანგული გაზეთი სწერდა: „საინტერესოა თავს მოიხრიდნენ მამაკაცები იტალიელი მსახიობის ავტორიტეტის წინაშე თუ არა", მაგრამ გაზეთის კომენტატორმა იქვე დასძინა, რომ „ჩემთვის, მაგალითად, უფრო სახარბიელოა განდინის მდგომარეობა, ვიდრე სიმონიგისა. განდინს შეუძლია რევანში აიღოს ტრეკზე, როცა კი ამას მოისურვებს, სიმონიგი კი ვერასდროს ვერ დაამარცხებს განდინს ქალების თვალში".

ნ. გამრეკელი

ბახმაროზე

კურორტ ბახმაროს დამსვენებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სარაიონთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება ცხენოსნობაში. ასეთი ღონისძიება მიმდინარე წელსაც ჩატარდა. მონაწილეობა მიიღეს წალენჯიხის, მახარაძის, ხულოს, ჩოხატაურის რაიონებისა და ქალაქ ფოთის ცხენოსნებმა.

შეჯიბრების პროგრამაში იყო დაბრკოლებათა გადალახვა (საშუალო კლასი), დოღი 4 და 6 კილომეტრზე და მარულა.

შეჯიბრება დაიწყო დაბრკოლებათა გადალახვით, რომელშიც გამარჯვებული გამოვიდა წალენჯიხელი მ. ცანავა. 4-კილომეტრიან დოღში პირველსავე წრეზე დაწინაურდა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაჭრა ნ. ხოფერიამ (ფოთი). მისი დროა 5 წუთი და 56 წამი. მეორე ადგილი დაიკავა ლემონჯავამ (წალენჯიხა), ხოლო მესამე — კ. ლაბაძემ (ჩოხატაური). 6-კილომეტრიან დოღში პირველი ადგილი დაიკავა ვ. მაქაცარიამ, მეორე—ტოტიკოვმა (ორივე ფოთიდან) და მესამე — მ. ცანავამ (წალენჯიხა).

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ მარულაში (ათ კილომეტრზე), შეჯიბრების დაწყებისთანავე რბოლას სათავეში ჩაუდგა ჩოხატაურელი წითლიძე. იგი ბოლო წრეზეც ლიდერობდა მას, მაგრამ უკანასკნელ ას მეტრზე ფოთელმა ტოტიკოვმა გადაუსწრო ლიდერს და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. წითლიძე მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. მესამე ადგილზე გამოვიდა ხ. ადაძე (ხულო).

გ. ახალაია

თერთმეტი სპეციალისტის აზრი

გაზეთ „ინტერნაციონალეს შპორტ ეხოს" რედაქციამ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის თერთმეტ სპეციალისტს თხოვა დაესახელებინათ ფეხბურთში მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი. რვამ მომავალ მსოფლიო ჩემპიონად მიიჩნია არგენტინის ეროვნული ნაკრები, თითო ხმა მიიღეს საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ბრაზილიის გუნდებმა.

მაგიდის ჩოგბურთი და გაფიცვა

ამას წინათ რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) ჩრდილო ამერიკული კომპანიის „ლაიტ ენდ პაუერის" ზემოქმედების შედეგად საქალაქო ტრანსპორტზე ბილეთის ფასი გადიდებულ იქნა 50 პროცენტით. ეს ძალზე მძიმედ დააწვა მუშებს, განსაკუთრებით კი სტუდენტების ჯიბეს. პროტესტის ნიშნად სტუდენტებმა თავიანთ კრებებზე (რომლებიც, როგორც წესი, კაფეებში მიმდინარეობს) გადაწყვიტეს გაფიცვა გამოეცხადებინათ. მაგრამ როგორ?

გამოსავალი მალე იპოვნეს. თანაც არა მარტო გონებამახვილური, არამედ ძალზე ეფექტური. სასწრაფოდ სასპორტო დარბაზებიდან გამოიტანეს და ზედ ტრამვაის ხაზებზე დადგეს... მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო მაგიდები და „გაჩაღდა", ასე ვთქვათ, მაგიდის ჩოგბურთის მასობრივი თამაში. ტრამვაის მძღოლები გასაჭირში ჩავარდნენ... არ იცოდნენ რა ექნათ.

— დაიშალეთ, გაგვყლეთ! — ჰყვიროდნენ ისინი.

— აბა სცადეთ! — პასუხობდნენ მათ გაფიცულები.

— სინიორ, ცოტაც მოგვითმინე, აი ტურნირს დავამთავრებთ და შემდეგ როგორც გნებავთ!... — მხიარულად პასუხობდნენ სტუდენტები.

მძღოლი მალე მშვიდდება. ერთი-ორი წუთის შემდეგ კი ისიც „გაფიცულთა" რიგებში დგება და ინტერესით უყურებს ორთა ბრძოლას, ზოგჯერ ენერგიულად ებმება თამაშის მსვლელობაშიც...

გაფიცვამ რამდენიმე დღე გასტანა. სტუდენტებს მუშებიც შეუერთდნენ. ბოლოს და ბოლოს ხელისუფლების მესვეურნი იძულებულნი გახდნენ გაეუქმებინათ დადგენილება. რიო-დე-ჟანეიროს მცხოვრებლებმა გაიმარჯვეს.

პოპულარული მწვრთნელი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ძნელია მეორე ისეთი პოპულარული გვარის პოვნა, როგორიცაა ემერიკი. ჯეიმს ემერიკი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე განთქმული და სახელმოხვეჭილი გვარია მსოფლიოს მძლეოსანთა შორის. საინტერესოა, ვინ უნდა იყოს ის, ვისაც ასე კარგად იცნობენ შტატებში და მის ფარგლებს გარეთაც. ჯეიმს ემერიკი — მსოფლიოს რეკორდსმენი ასეთი გვარით არ ყოფილა. მას ვერც ოლიმპიური ჩემპიონების სიაში შეხვდებით. მაშ ვინ არის ემერიკი? მძლეოსნობის რომელ სახეობაში უნდა ვეძებოთ იგი?

ჯეიმს ემერიკი ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელია. მისი სახელი დაკავშირებულია ბევრი ცნობილი მძლეოსნის წარმატებასთან. განსაკუთრებულ სადღესასწაულო დღეებში ეს სახელმოხვეჭილი მწვრთნელი იცვამს ხალათს, რომელიც მისი სპორტული ბიოგრაფიის შესანიშნავ საბუთს წარმოადგენს.

ხალათი გადასერილია ათასგვარი წარწერებით, რომელთა შორის შეიძლება ასეთი სიტყვების ამოკითხვა: „სამარადჟამოდ მადლიერი, ბობი მორროუ", „სიყვარულით, ფორჩუნ გორდიენი", „თქვენი წყალობით, გლენ დევისი", „მე კი არა თქვენ გაიმარჯვეთ, ჩარლზ ჯენკინსი", „თქვენ შეამსუბუქეთ ჩემი ბირთვი, პერი ო. ბრაიენი" და მრავალი სხვ

რედაქტორი ი. უგულავა.

3 გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო"
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-88-62, 3. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3.90.34. მორიგისა და გამომშვებისა — 3 38.25.
საქართველოს კპ ც. კ-ის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 03519